



სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	ფოთის „კოლხი რაინდები“ - თბ „ხვამლი“		
გუნდი	ფოთის „კოლხი რაინდები“	შეჯიბრი	„ბ“ ლიგა
მატჩის თარიღი	21/09/2022	მატჩის ადგილი	ფოთი
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	27/09/2022	განხილვის ადგილი	დისტანციური
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ვახტანგ სამხარაძე, აკაკი კერესელიძე, ლევან ჩიკვაძე		
დამრღვევის დასწრება	კი არა	სხვა დამსწრეები : კი არა	
დამრღვევის წარმომადგენელი	არა	აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მეთვალყურის მარიამ მახათაძის საითინგი 22/09/2022 მატჩის მსაჯის ლაშა ზივზივადის საითინგი 23/09/2022		



დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მეთვალყურის მარიამ მახათაძის საითინგი 22/09/2022;
2. მატჩის მსაჯის ლაშა ზივზივადის საითინგი 23/09/2022;
3. ფოთის „კოლხი რაინდები“-ს მწვრთნელის როლანდ ჩაჩავას სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი 26/09/2022;
4. მატჩის მსაჯის ლაშა ზივზივადის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი 26/09/2022;

დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება

1. ფოთის „კოლხი რაინდები“-ს მწვრთნელის როლანდ ჩაჩავას განცხადებით მატჩის ოფიციალური პირების საითინგებში აღნიშნული მაცურებლების რეაქცია, გამოწვეული იყო მსაჯების არადეკვატური გადაწყვეტილებით და გუნდის(კოლხი რაინდები) წარმომადგენლების მხრიდან ადგილი არ ჰქონია რაიმე სახის საჯარო აპელირების/სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტს. როლანდ ჩაჩავამ გამოთვა წუხილი მომხდარის შესახებ და აღნიშნა, რომ იგი მყისიერად შეეცადა მაცურებლების დამშვიდებას და მოუწოდებდა მათ შეეწყვიტათ მსაჯის გადაწყვეტილებაზე აგრესიული აპელირება.

ფაქტობრივი მოცემულობა

1. 21/09/2022 გამართული „ბ“ ლიგის მატჩის, ფოთის „კოლხი რაინდები“ - თბ „ხვამლი“, დასრულების შემდეგ, სრკ-ს სადისციპლინო სამსახურს წერილობით მიმართა მატჩის მეთვალყურემ მარიამ მახათაძემ (საითინგი 22/09/2022). საითინგში აღნიშნულია, რომ თამაშის 57-ე წუთზე მსაჯების გადაწყვეტილებას მოჰყვა ფოთის „კოლხი რაინდები“-ს ქომაგთა აგრესიული რეაქცია, ადგილი ჰქონდა მსაჯების სიტყვიერ შეურაცხყოფასაც.
2. მატჩის მსაჯმა ლაშა ზივზივადემ, სატელეფონო გამოკითხვისას აღნიშნა, რომ თამაშის 57-ე წუთზე მისი და გვერდითი მსაჯის გადაწყვეტილებას მოჰყვა ფოთის „კოლხი რაინდები“-ს ქომაგთა აგრესიული აპელირება და მათი სიტყვიერი შეურაცხყოფა. მისი თქმით, ფოთის „კოლხი რაინდები“-ს ოფიციალურ წარმომადგენელთა მხრიდან მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია.



სადისციპლინო კომისიამ იმსჯელა ზემოაღნიშნული ინციდენტის შესახებ, გაითვალისწინა გარემოება, რომლის მიხედვით ფოთის „კოლხი რაინდები“-ს ოფიციალური წარმომადგენლების მხრიდან არ ჰქონია ადგილი მატჩის ოფიციალურ პირთა მიმართ საჯარო აპელირებას/სიტყვიერ შეურაცხყოფას და მიიღო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. კლუბ ფოთის „კოლხი რაინდებს“ მიეცეს გაფრთხილება;
2. კლუბ ფოთის „კოლხი რაინდები“-ს ხელმძღვანელობას დაევალოს ქომაგებთან შეხვედრის ორგანიზება ზემოაღნიშნული ინციდენტის დაუშვებლობის ახსნა განმარტების მიზნით.
3. მსგავსი ფაქტის განმეორების შემთხვევაში, ფოთის „კოლხი რაინდები“-ს ჭაბუკთა „ბ“ ლიგის გუნდს აეკრძალება საშინაო თამაშების ფოთში გამართვა, დარღვევის სიმძიმის შესაბამისი პერიოდით.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	27/09/2022
--------------------------	--	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო საბჭოში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.